განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
საბანკო პროცესების მართვა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2018 წლის 10-15 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი:08.01.

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**211349192**
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო პროცესების მართვა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (N471, 2012 წლის 28 სექტემბერი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა კასრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ქარცივაძე, კინგსი საქართველო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა კიკნაძე, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მაგისტრატურის საგანმანათებლო პროგრამას „საბანკო პროცესების მართვა“ 2012 წლის 28 სექტემბერს (გადაწყვეტილება №471) მიენიჭა აკრედიტაცია. პროგრამა დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 06 ივლისის დადგენილებით (# 733), რომლის მოდიფიცირება მოხდა ამავე საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის # 2028 და 2018 წლის წლის 2 აპრილი #01-05-04/95 დადგენილებებით. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1კრ.=25სთ. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 75 კრედიტი, მათ შორის, პრაქტიკა - 5 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსი - 5 კრედიტი. კვლევითი კომპონენტია - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი. სასწავლო სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVII კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII–XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 10, 11, 12 და 15 ოქტომბერს თბილსში არსებულ მისამართზე: მ. კოსტავას ქ. 68. ვიზიტამდე წინა დღეს 9 ოქტომბერს შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, თეა კასრაძე, დავით ქარცივაძე, ნიკა კიკნაძე) 14 საათიდან და 18 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

10 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9:00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (ვიცე-რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, საგეგმო-საფინანსო დეპარტამენტის უფროსი, აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი),

თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანამანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია V სტანდარტთან, მეტწილად შესაბამისობაშია I, III და IV სტანდარტებთან და ნაკლებად შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სრულფასოვნად უნდა პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა იყოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან;
  - უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი;
  - პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
  - პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
  - პროგრამაში უნდა იყოს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლი შედეგის მიხედვით;
  - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა;
  - სავალდებულო სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა ფარგლებშიც მოხდება პერსონალის სტრატეგიულ მართვასთან, ბიზნესის სამართლებრივ რეგილირებასთან, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასთან,

ინვესტიციების რეგულირებასა და მართვასთან, ფინანსურ პოლიტიკასთან და სხვ, დაკავშირებული საკითხების სწავლება და რომელთა ცოდნაც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისანიჭებლად;

- აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის არჩევითი კომპონენტი და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების კომბინაციით, საკუთარი ინეტერესებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ ინდივიდუალური პროფილი;
- გაიზარდოს „ბიზნესის კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა და სასწავლო კურსის ფარგლებში სიღრმისეულად უნდა ისწავლებოდეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები, ასევე საჭიროა მისი სწავლება მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ;
- ბიზნესის კვლევის მეთოდები განისაზღვროს, როგორც პროგრამის კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა;
- გადაიხედოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა და გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა;
- უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, რომლეთა შესწავლაც აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის;
- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს, გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და ლიტერატურას. მეტი სიზუსტით შეირჩეს საკვლევი თემები, რათა ისინი შესაბამისობაში იყვნენ პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- გაფართოვდეს პრაქტიკის ობიექტების საქმიანობის არეალი. შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები იმ ნიშნით, რომ მათ უზრუნველყონ როგორც პრაქტიკის, ისე მთლიანობაში პროგრამის მიზნების და შედეგების მიღწევის ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალი უნდა იყენებდეს სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებს;
- შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და გაწერილი სილაბუსში;
- აუცილებელია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა;

- უნდა შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო კვლევით კომპონენტს;
- მაგისტრატურის დებულებაში უნდა განისაზღვროს მაგისტრანტის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების შერჩევის წესი;
- დაწესებულებამ განუხრელად უნდა დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების საკუთარი ინსტრუქცია;
- სმაგისიტრო ნაშრომები უნდა ეყრდნობოდეს უახლეს ინფორმაციას და თანამედროვე ლიტერატურას; სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები უნდა გადამზადდნენ კვლევის მეთოდებში;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების ტრენინგი პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის, ასევე კურიკულუმის შედგენის და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღავნელების შერჩევის წესების შესახებ;
- გაიზარდოს კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან.
- აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიასთან და მეტწილად რეალისტურია და მიღწევადია. საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია: „საბანკო ბიზნეს–პროცესების მოდელირების, ინჟინერინგის, მენეჯმენტის და კორპორაციული ფინანსების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სიღრმისეული შესწავლა, შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ საბანკო პროცესების მართვისათვის საჭირო თეორიული ცოდნის სრულყოფა და პრაქტიკაში გამოყენება“. პროგრამის აღნიშნული მიზანი უფრო ვიწროა ვიდრე კვალიფიკაცია, რომელიც ენიჭება კურსდამთავრებულს ამ პროგრამის დასრულების შედეგად - „ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“, ვინაიდან, ფინანსები გაცილებით ფართოა, ვიდრე საბანკო ბიზნეს-პროცესები და ის მოიცავს ფირმებს, საოჯახო მეურნეობებს, ფინანსურ დაწესებულებებს და მთავრობებს. ფინანსები ზოგადად არის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების მუშაობასთან და ამ ბაზრების და ეკონომიკური ერთეულების ურთიერთქმედებასთან. შესაბამისად, *ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მიზანი უნდა იყოს მოამზადოს ისეთი სტუდენტი, რომელსაც სიღმისეულად ეცოდინება ფინანსური სისტემის (რომელიც მოიცავს ბანკებს, საფონდო ბირჟებს, ფინანსური შუამავლებს, ფინანსურ ინსტიტუტებს და მთავრობას) დიზაინი და მუშაობა, სტრუქტურა და ისტრუმენტები. სტუდენტები სიღრმისეულად უნდა ერკვეოდნენ ფასწარმოქმნაში ფინანსურ აქტივებზე, უნდა შეეძლოთ რისკების გაზომვა, შეფასება და მართვა, ასევე აცნობიერებდნენ ფირმების, ფინანსური დაწესებულებების და კერძო*

პირების ქცევის ოპტიმიზაციის შესაძლებლობებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უფრო ფართოა და მოიცავს ისეთ კომპეტენციებს, რომლებიც არ არის სათანადოდ ასახული საგანამანათლებლო პროგრამის მიზანში. მაგ. სწავლის შედეგში „ცოდნა-გაცნობიერება“ აღნიშნულია, რომ პროგრამის გავლის შედეგად, სტუდენტი „აცნობიერებს საბანკო აუდიტორული საქმიანობის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, საბანკო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს“, თუმცა მიზნის ფორმულირებაში ამაზე არ არის მინიშნება, ასევე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში მითითებულია, რომ სტუდენტს „შეეძლება საფინანსო-საბანკო სფეროში არსებულ აქტუალურ საკითხებზე კვლევის ჩატარება“, თუმცა საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში კვლევა საერთოდ არ არის ნახსენები. ასევე კვლევის მიზანში არ არის ასახული პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, მაშინ როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” – http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024;
- მაგისტრატურის საგანმანათებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია http://gtu.ge/AboutStu/Mission.php;
- ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დებულება http://gtu.ge/bef/pdf/Debuleba/Debuleba_02.04.18.pdf;
- ინტერვიუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი სრულფასოვნად უნდა პასუხობდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა იყოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადში, შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერთან და მეტწილად უზრუნველყოფს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგებში აღწერილია როგორც ცოდნა/გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, სწავლის და კომუნიკაციის უნარები, ისე ღირებულებები, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის ათვისების პერიოდში.

საგანმანათებლო პროგრამის „საბანკო პროცესების მართვა“ სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ეყრდნობა კვალიფიკაციების

ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, რომელიც იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

საგანმანათებლო პროგრამის შემუშავებაში ძირითადად ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები: აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობა.

საგანამანათლებლო პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები მრავალრიცხოვანია და შესაბამისად, საკმაოდ რთულია ამ რაოდენობა შედეგების გაზომვა და შეფასება. ამასთან, ვინაიდან პროგრამას არ გააჩნია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რთულია დავინახოთ კავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამას არ გააჩნია ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც მოგვცემდა სწავლის შედეგების მიღწევის განსაზღვრის შესაძლებლობას. პროგრამაში ასევე არ არის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები სწავლის თითეული შედეგისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათებლო პროგრამა - „საბანკო პროცესების მართვა“;
- სილაბუსები;
- ინტერვიუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება, პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი;
- პროგრამას უნდა ჰქონდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან;
- პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
- პროგრამაში უნდა იყოს განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლი შედეგის მიხედვით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუ-ს მაგისტრატურის საგანმანათებლო პროგრამაზე „საბანკო პროცესების მართვა“ სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა საგანში „საბანკო საქმე“). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ -„უმაღლესი დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სტუ-ს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამისი დოკუმენტით.

დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციით. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დასვას კითხვები პროგრამაზე მიღების პირობებისა და სხვა მისთვის საინტერსო საკითხებზე.

შესაბამისად, პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თუმცა სურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ზემოთ ჩამოთვლილ სხვა წინაპირობებთან ერთად უსდ-მ განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც გარდა იმისა, რომ ხელმისაწვდომს გახდის სტუდენტებისთვის თანამედროვე ინგლისურენოვან ლიტერატურას, ასევე გაუადვილებს მათ პროგრამით გათვალისწინებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების შესწავლას. ენის ცოდნის აუცილებლობას დამსაქმებლებმაც გაუსვეს ხაზი ინტერვიუს დროს.

ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე და სამართლიანია.

სტუდენტებისა და მობილობით სარგებლობის მსურველთათვის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია შესაბამისი სრულყოფილი ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. მაგისტრატურის საგანმანათებლო პროგრამა „საბანკო პროცესების მართვა“;
2. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებგვერდი http://gtu.ge/bef/;
3. უსდ-ის საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
4. ინტერვიუ საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი. მასში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების და პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესი პროცედურები.

საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ფინანსებში 120 ECTS კრედიტის დაგროვების შემდეგ, რომელიც

ნაწილდება შემდეგნაირად:

- სასწავლო კომპონენტია - 75 კრედიტი, რომელიც მოიცავს:
  - სავალდებულო სასწავლო კურსები -65 კრედიტი
  - არჩევითი სასწავლო კურსი - 5 კრედიტი
  - პრაქტიკა - 5 კრედიტი
- კვლევითი კომპონენტია - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს
  - სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 5 კრედიტი,
  - თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 10 კრედიტი,
  - სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნა-გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ფარგლებში გაწერილი ცოდნისა და უნარების სტუდენტისთვის გადაცემაზე. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტი იძენს სწავლისა და დასკვნის უნარებისთვის, ღირებულებების ფორმირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს. თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში - ნაწილობრივ შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის მიზანიც და შინაარსიც პრაქტიკულად მთლიანად საბანკო სექტორზეა კონცენტრირებული.

პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მიმართ გვაქვს გარკვეული შენიშვნები:

- პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი საგნების ჩამონათვალი მწირია და არ მოიცავს მთელ რიგ საგნებს, რომელთა ფარგლებშიც მოხდება პერსონალის სტრატეგიულ მართვასთან, ბიზნესის სამართლებრივ რეგულირებასთან, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასთან, ინვესტიციების რეგულირებასა და მართვასთან, ფინანსურ პოლიტიკასთან და სხვა, დაკავშირებული საკითხების სწავლება და რომელთა ცოდნაც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

- პროგრამა სთავაზობს სტუდენტებს მხოლოდ 3 არჩევით კურსს. სამივე სასწავლო კურსი ეკონომიკის მიმართულებიდანაა, საიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთ სასწავლო კურსს 5 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის არჩევითობას და გარდა ამისა, აღნიშნული სასწავლო კურსები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, ძირითად ცოდნის შეძენას და კვალიფიკაციის შესაბამისი უნარების გამომუშავებას.

- პროგრამა ითვალისწინებს ბიზნესის კვლევის მეთოდების სწავლებას, მაგრამ საჭიროა კურსი მოიცავდეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების სიღრმისეულად სწავლებას, რისთვისაც 4 კრედიტი არ არის საკმარისი. ასევე საჭიროა მისი სწავლება მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ. საჭიროა ბიზნესის კვლევის მეთოდები განისაზღვროს, როგორც პროგრამის კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა.

- კვლევითი კომპონენტისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა (45 კრედიტი) ვფიქრობთ, რომ მაღალია. ამ მოსაზრებას სტუდენტებიც დაეთანხმნენ

ინტერვიუს დროს, თუმცა ასევე ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს მათი გადაწყვეტილება არ არის, უნივერსიტეტის ზოგადი მიდგომაა და რეგულირდება სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით მაგისტრატურის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი;
- სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ http://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php?sphrase_id=236830
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ უსდ-ს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსებთან;
- ინტრევიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები);

რეკომენდაციები:

- სავალდებულო სასწავლო კომპონენტი უნდა მოიცავდეს ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა ფარგლებშიც მოხდება პერსონალის სტრატეგიულ მართვასთან, ბიზნესის სამართლებრივ რეგულირებასთან, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებასთან, ინვესტიციების რეგულირებასა და მართვასთან, ფინანსურ პოლიტიკასთან და სხვა, დაკავშირებული საკითხების სწავლება და რომელთა ცოდნაც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული კვალიფიკაციის მისანიჭებლად;
- აუცილებელია გაიზარდოს პროგრამის არჩევითი კომპონენტი და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა არჩევითი და სავალდებულო სასწავლო კურსების კომბინაციით, საკუთარი ინეტერესებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ ინდივიდუალური პროფილი;
-
- გაიზარდოს „ბიზნესის კვლევის მეთოდების“ სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა და სასწავლო კურსის ფარგლებში სიღრმისეულად უნდა ისწავლებოდეს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები, ასევე საჭიროა მისი სწავლება მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ.
- ბიზნესის კვლევის მეთოდები განისაზღვროს, როგორც პროგრამის კვლევით კომპონენტებზე დაშვების წინაპირობა.
- გადაიხედოს პროგრამის კვლევითი კომპონენტის სტრუქტურა და გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უკვე აღვნიშნეთ საბანკო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. აქედან სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილია 75 კრედიტი. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსებში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და დამხმარე მასალები უმეტეს შემთხვევაში დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა:

ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში გადასახედია პროგრამის კრედიტების განაწილების სისტემა. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების და კვლევითი

კომპონენტების კრედიტების გადახედვის ხარჯზე შესაძლებელი იქნება პროგრამის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების კომპონენტების გაძლიერება. სასწავლო კურსების გამოყენებული ძირითადი ლიტერატურა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან.
რეკომენდაციები: ○ უსდ-მ მოახდინოს კრედიტების განაწილების სისტემის გადახედვა. სასწავლო კურსების ფარგლებში მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობის მეტი სიზუსტით განსაზღვრა უსდ-ს მისცემს საშუალებას პროგრამაში ჩართოს ის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, რომლეთა შესწავლაც აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მქონე პირთათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი არიან ადგილობრივ კვლევით პროექტებში. კერძოდ, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ინტერესების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ უსდ-ში გამართულ ყოველწლიურ კონფერენციებში და თემატურ სემინარებში. სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე სხვა სასწავლებლებისა და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები პროექტების სახით, მოახდინონ მათი საჯარო დაცვა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან პროფესიულ პრაქტიკას. გარდა ამისა, საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის მნიშნელოვანი კვლევითი კომპონენტია: - სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, - თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი და - სამაგისტრო ნაშრომის დასრულება/დაცვა (საკვალიფიკაციო ნაშრომი). საგანმანთლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაივლიან პროფესიულ პრაქტიკას - „მსესხებლის შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტების ადმინისტრირება“, რომელიც ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები გაფორმებული აქვს სხვადასხვა პროფილის (საბანკო, არასაბანკო საფინანსო და არასაფინანსო) ორგანიზაციებთან, სტუდენტები პრაქტიკას მხოლოდ ბანკების ასოციაციაში გადიან. პრაქტიკის სფერო დავიწროვებულია და მთლიანად საბანკო სექტორზეა დაყვანილი, სტუდენტს არ აქვს საშუალება აირჩიოს პროფესიული პრაქტიკა რომელიმე სხვა ფინანსურ ინსტიტუტში ან თუნდაც ნებისმიერი სხვა პროფილის კომანიის საფინანსო დეპარტამანტში. ყოველივე ეს წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში. რაც შეეხება კვლევით კომპონენტებს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი და სამაგისტრო ნაშრომის დასრულება/დაცვა, არცერთ მათგანს არ აქვს სილაბუსი და მათი განხორციელება ხდება უსდ-ში დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულების საფუძველზე. სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც მაგისტრანტმა უნდა დაასრულოს სწავლის მეორე სემესტრში. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოქვიუმი არის სამაგისტრო ნაშრომის ნაწილი. იგი ითვალისწინებს სამაგისტრო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან

დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოქვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავება, მკაფიო წარმოდგენის შექმნა მთავარი პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა.

საკვალიფიკაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საკვალიფიკაციო ნაშრომში ასახული უნდა იყოს ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევით მიღებული შედეგები.

კვლევითი კომპონენტების მომზადება და დაცვა ხორციელდება მაგისტრატურის შესახებ დებულების საფუძველზე, რომლებშიც გაწერილია კვლევითი კომპონენტების მიზნები, შედეგები, ნაშრომების არქიტექტონიკა და გაფორმების წესი, დაცვისა და შეფასების მექანიზმი.

პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომების გადახედვის შედეგად გაირკვა, რომ ნაშრომებში არ არის მითითებული კვლევის დროს გამოყენებული კვლევის მთოდები, გამოყენებულ ლიტერატურაში გვხვდება სალექციო კურსები, დარღვეულია გაფორმების წესები. არ არის წყაროები სათანადოდ მითითებული. დაცულ ნაშრომებში გვხვდება კვალიფიკაციის შეუსაბამო თემებიც (მაგ. „საქართველოს საკურორტო მეურნეობა“ , „საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა“).

ამ ეტაპზე სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე არ ხდება და მხოლოდ ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას. თუმცა, უსდ-ს შეძენილი აქვს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და უკვე ახდენენ სადოქტორო ნაშრომების შემოწმებას პლაგიატზე. იგეგმება მომავალში სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამა;
- სტუ-ს დებულება მაგისტრატურის შესახებ http://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php?sphrase_id=236830
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან/დამსაქმებლებთან;
- ინტრევიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

- უსდ-მ მეტი ყურადღება დაუთმოს სტუდენტთა მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხს, გამოყენებულ კვლევის მეთოდებს და ლიტერატურას. მეტი სიზუსტით შეირჩეს საკვლევი თემები, რათა ისინი შესაბამისობაში იყვნენ პროგრამის ფარგლებში მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
- გაფართოვდეს პრაქტიკის ობიექტების საქმიანობის არეალი. შეირჩეს პრაქტიკის ობიექტები იმ ნიშნით, რომ მათ უზრუნველყონ როგორც პრაქტიკის, ისე მთლიანობაში პროგრამის მიზნების და შედეგების მიღწევის ხელშეწყობა;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის კომპონენტებში არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) განსაზღვრულია სწავლის შემდეგი ფორმები: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული მეცადინეობა, პრაქტიკა, საკურსი სამუშაო/პროექტი, დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი და სხვ. რომლებიც შეესაბამება სასწავლო კურსის მისაღწევ შედეგებს. შესაბამისად, შერჩეული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის შედეგების მიღწევას. მათი

ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამჭვირვალეა და სტუდენტები იცნობენ მათ. უსდ-ში არსებობს შეფასების შედეგების გასაჩივრების წესი, რომელსაც ასევე იცნობენ პროგრამის სტუდენტები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლების ფორმები და მეთოდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის თითოეული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტის შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ემსახურება, როგორც სტუდენტის მიღწევების კონტროლს, ასევე სწავლის პროცესში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის უკუგების უზრუნველყოფას. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა მიიღწეოდეს ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებით და იყოს ასახული სწავლის შედეგების რუკზე (რაც ვიზიტის ბოლო დღეს იქნა მოწოდებული ექსპერტთა ჯგუფისთვის). შეფასების მეთოდები და ფორმები ადაპტირებულია სასწავლო კურსთან და კომპონენტთან. პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება და მოიცავს სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასებას. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებულის ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. ვიზიტისას აღნიშნული პროცედურა სტუდენტების მიერ შეფასდა გამჭვირვალე და მოქნილ მექანიზმად. თუმცა ჯერჯერობით არავის გამოუყენებია და არც სმენიათ ამ მექანიზმის გამოყენების შესახებ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას. იმის მიუხედავად, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას, რიგ შემთხვევებში არ ხდება ამ მეთოდების გამოყენება სწავლების პროცესში. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. პროგრამის

განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე უნდა შეფასდეს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ ელექტრონული პორტალი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: აკადემიური პერსონალი უნდა იყენებდეს სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდებს; მათი შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათელი და გაწერილი სილაბუსში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ_ში, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე, სტუდენტს შეუძლია მიიღოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაცია. ამასთან, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სამუშაო დღის განმავლობაში, ნებისმიერ დროს, შეუძლია მიიღოს კონსულტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისა და ტუტორებისგან სასწავლო პროცესის, საგანმანთლებლო პროგრამის და ადმინისტრაციულ საკითხების შესახებ. ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო პროცესის შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილია საფაკულტეტო კომისია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემადგენლობით; სტუდენტები ინფორმირებულები არიან და პროგრამის ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში; აგრეთვე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით; სტუდენტებს აქვთ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებში მონაწილეობის შესაძლებლობა; თუმცა, არ/ან იშვიათად იყენებენ ინტერნაციონალიზაციის შესაძლბლობებს.

აკადემიური პერსონალისადმი აუცილებელი მოთხოვნაა სავალდებულო ყოველკვირეული საკონტაქტო დატვირთვის პარალელურად საკონსულტაციო საათის ჩატარება. საკონსულტაციო საათები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში. გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა.სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ კმაყოფილები არიან საკონსულტაციო მომსახურებით, რომელსაც იღებენ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. უსდ_ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით. ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების და ლაბორატორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს GTU-tables–ც (ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია). სტუდენტები ვერ იღებენ დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. თუმცა, უსდ_ში დამსაქმებელთა მოთხოვნების საფუძველზე შეიქმნა სტუდენტთა პორტფოლიოების ერთიანი ბაზა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები; ○ ელექტრონული პორტალი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა https://leqtori.gtu.ge ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: ○ აუცილებელია სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში, კვლევებსა და საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება და ხელშეწყობა. ○ უნდა შეიქმნას მექანიზმი, რისი საშუალებითაც სტუდენტები მიიღებენ, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები შეიძლება იყოს სტუ-ის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, მოწვეული პროფესორი, მოწვეული ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ასისტენტ-პროფესორი, აგრეთვე სტუ-თან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტების მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება (მემორანდუმი) ურთიერთთანამშრომლობის შესახებ; სამაგისტრო თემის შერჩევა ხდება, სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. თუმცა, მაგისტრატურის დებულებაში არ არის მაგისტრანტის

ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების შერჩევის წესი.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი მაგისტრანტთან შეთანხმებით ადგენს პერსონალურ სამუშაო გეგმას, სადაც უნდა იყოს მითითებული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების ჩამონათვალი, კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი ღონისძიებები.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლოესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

მიუხედავად აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის, ვიზიტის ფარგლებში ნანახი სამაგისტრო ნაშრომები არ იყო შესაბამისობაში უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებასთან. მაგალითად: სამაგისტრო ნაშრომი არარელევანტური იყო საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამასთან;

ხელმძღვანელი წარმართავს კვლევითი კომპონენტების შესრულებას, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებას და დაცვისათვის მომზადებას. მაგრამ, ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომში სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი ცუდად/ან საერთოდ არ ყოფილა წარმოდგენილი;

რიგ შემთხვევებში დარღვეულია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია/წესი;

ნაშრომებში არ არის გამოყენებული უახლესი ინფორმაცია, თანამედროვე ლიტერატურა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბანკო პროცესების მართვის სამაგისტრო პროგრამა;
- უსდ-ს მაგისტრატურის დებულება; დანართი 4; დანართი 5;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო კვლევით კომპონენტს;
- მაგისტრატურის დებულებაში უნდა განისაზღვროს მაგისტრანტის

ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების შერჩევის წესი;

- დაწესებულებამ განუხრელად უნდა დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების საკუთარი ინსტრუქცია;
- სმაგისიტრო ნაშრომები უნდა ეყრდნობოდეს უახლეს ინფორმაციას და თანამედროვე ლიტერატურას;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები უნდა გადამზადდნენ კვლევის მეთოდებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მაგისტრატურის „საბანკო პროცესების მართვის“ პროგრამას ახორციელებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, კერძოდ: 6 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 9 მოწვეული პერსონალი, მათ შორის 18 მეცნიერი. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ძირითადად აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციით, ცოდნითა და გამოცდილებით, რაც დასტურდება მათი აკადემიური მუშაობის შედეგებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. თუმცა მათი პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის საშუალო ასაკი არის 57 წელი, პერსონალის ასაკის მოდა კი 69 წელია, პერსონალის 41%-ის ასაკი კი 60 წელს გადაცილებულია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, ბოლო 5 წლის სამეცნიერო საქმიანობით დასტურდება მისი გამოცდილება საბანკო-საფინანსო ტექნოლოგიების სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მისი ბუნდოვანი წარმოდგენა პროგრამის სტრუქტურასთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის დანიშვნის წესთან თუ პროგრამის ამჟამინდელ მთავარ გამოწვევებთან დაკავშირებით. პროგრამის სტუდენტებს ემსახურება 16 ადამიანისტრაციული და დამხმარე პერსონალი სწავლის პროცესის სათანადოდ მხარდასაჭერად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები ○ სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები ○ პროგრამის აღწერა
რეკომენდაციები: დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების ტრენინგი პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის, ასევე კურიკულუმის შედგენის, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღავნელების შერჩევის წესების შესახებ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს ლექციების ჩაწერას და შემდეგ ფაკულტეტზე შექმნილი სპეციალური კომისია შემთხვევითობის პრინციპით პერიოდულად აწარმოებს ჩანაწერების განხილვას, ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებასა და გაცნობას აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის. საჭიროებისამებრ ხორციელდება ლექციებზე კოლეგიალური დასწრება, ხდება შეფასება, შედეგების ანალიზი და შესაბამის ლექტორთან კონსტრუქციული უკუკავშირი.

როგორც ინტერვიუს დროს აკადამიურმა პერსონალმა აღნიშნა, უნივერსიტეტში 2012 წლიდან ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც აიოვას შტატის უნივერისტეტის საუკეთესო სწავლებისა და შესწავლის ცენტრის ტრენერები ახდენენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები, სწავლის შედეგები და მათი შეფასება. აღსანიშნავია, რომ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მიხედვით კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი არის 10000 ლარი, აქედან ადმინისტრაციულ პერსონალზე მოდის 3000 ლარი და შესაბამისად 7000 ლარი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალზე. გასათვალისწინებელია, რომ ფაკულტეტი ახორციელებს 11 საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები“-ს საბაკალავრო პროგრამას, რომელსაც ემსახურება 50 აკადემიური პერსონალი, რომელთა საშუალო ასაკი 57 წელია და პესონალის ასაკის მოდა კი 69 წელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
- ფაკულტეტის და პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

გაიზარდოს კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ფინანსური რესურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური რესურსით, რაც დადასტურდა აუდიტორიების, ლაბორატორიის, ბიბლიოთეკის დათვალიერებისა და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს. სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, როგორც მისი ფილიალი. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორია აღჭურვილია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით (Alta Software), რასაც საქართველოში მოქმედი ბანკები იყენებენ საოპერაციო საქმიანობისას. ლაბორატორიული კლასის დროს ხდება პროგრამაში მუშაობის სწავლება და ძირითად საბანკო საოპერაციო პროცესებში სტუდენტების დატრენინგება.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც ფიზიკური სახის ასევე ელექტრონული წიგნებით. სტუდენტებს საშუალება აქვთ დისტანციურად მოითხოვონ და მიიღონ მათთვის საჭირო პროფესიული ლიტერატურა. ასევე ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე პროფესიულ გამოცემებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტებთან ინტერვიუ
- სასწავლო რესურსების ვიზუალური დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს 2018 წლის ბიუჯეტი, სადაც წარმოდგენილია თითოეული პროგრამის მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა. ექსპერტების შეფასებით 2018 წლის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები მიღწევადია და ხარჯები ძირითადად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ჩართულია ყველა ის ელემენტი, რომელსაც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. იგი უნივერსიტეტის მართვის პროცესის შემადგენელი ელემენტების: დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირებისა და კონტროლის განუყოფელი ნაწილია. სისტემა მოქმედებს უნივერსიტეტის მისიის, პოლიტიკის, სამართლებრივი და სხვა ვალდებულებების კონტექსტში, აგრეთვე, ეყრდნობა იმ ძირითად პრინციპებსა და სტანდარტებს, რითაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტი თავის საქმიანობაში.

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის საქმიანობას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე ფაკულტეტზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ძირითადად ჩართულია ყველა რგოლი. თითოეულ დეპარტამენტში, მათ შორის სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდანაც გამოყოფილია პირი, რომელიც ჩართულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაგეგმილ აქტივობაში, რომელიც ეხება პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებას, მონაცემების შეგროვებას და პროგრამის განვითარების გეგმების დასახვას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს ფაკულტეტის თვითშეფასებას, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესისათვის. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენის მიზნით შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომლის წევრები შეირჩა შესაბამისი კომპეტენციის მიხედვით და მათ შორის განაწილდა პასუხისმგებლობები. ჯგუფში შევიდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი; ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის კურსდამთავრებული და სტუდენტი.

თვითშეფასების შევსებული კითხვარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განხილული იქნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შეთანხმებისა და სტუ– ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის მიზნით.

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ”სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/ ○ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი http://gtu.ge/quality/Files/Pdf/1125%20damtk%20cesi.pdf ○ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ოქმები ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ http://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdz%20kom.pdf ○ ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, აკადემიურ პერსონალთან.
რეკომენდაციები: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საჭიროებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან და დაინტერესებულ მხარეებთან. აუცილებელია პროგრამაში ჩართული პერსონალის გადამზადება და მათთვის ტრენინგების მოწყობა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის ფორმები და შეფასების მეთოდები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება ხორციელდება ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ფარგლებში. პროგრამაზე გარე ხარისხის შეფასების დროს ექსპერტებს შენიშვნები და რეკომენდაციები არ დაუფიქსირებიათ. 2012 წლიდან დღემდე პროგრამის გარე შეფასება შემოიფარგლებოდა წელიწადში ერთხელ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამის წლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენით, რომელშიც აისახებოდა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები. გარდა ამისა, დაწესებულებამ გარე შეფასებისათვის გამოიყენა 2016 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი იყო სტუდენტების აკადემიური მოსწრების შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესის ანალიზის მეშვეობით შრომის ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების

შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციებით მათი განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოს აუდიტის სამსახურმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს მისცა რეკომენდაციები, რომელიც იძლევა საშუალებას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს თავიანთი მოთხოვნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე რეგულარულად და სრულფასოვნად შეაფასებინოს საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო პროცესი; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად შექმნას საფაკულტეტო კომისიები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემადგენლობით.

აღნიშნული რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე განხორციელებულ იქნა აკადემიური ინტერვენციის ფორმა სტუდენტებისათვის ინდივიდუალური დახმარების სერვისის შეთავაზების სახით, რომელიც მოიცავს რიგ ღონისძიებებს: ტუტორინგს; რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების პრაქტიკულ კონსულტირება/დაკვალიანებას; კონსულტაციას კარიერის ან ძირითადი პროფილის არჩევის საკითხებში; სტუდენტების მიზნებისა და მოლოდინების განსაზღვრას. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ჩამოყალიბდა საფაკულტეტო კომისიები; შემუშავდა შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტის და დამსაქმებლის, აგრეთვე, კურსადმთავრებულის კითხვარი, რომელიც სტუდენტს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას მისცემს როგორც სასწავლო პროცესის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შესახებ. კითხვარი მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობის და მათი შეფარდების, ასევე დამხმარე სერვისებისა და მათი ხელმისაწვდომობის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, კონსულტაციების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ კითხვებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სახელმწიფო აუდიტის სამსახური. მისაღები ხარისხის განათლების უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აუდიტის ანგარიში 2016წ;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე უსდ-ის და ასევე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო პროცესების მართვა“ მონიტორინგი, რის საფუძველზეც საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ხორციელდება შესაბამისი რეკომენდაციების, შესაძლო ცვლილებების და დასკვნების შემუშავება, მათი შესაბამისობა აკრედიტაცია/ავტორიზაციის სტანდარტებთან. აღნიშნული პროცესის ფარგლებში რეგულარულად წარმოებს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის (მათ შორის, სახელმძღვა-

ნელოების და სხვა სასწავლო მასალის ფიზიკური მდგომარეობის, რაოდენობის, სილაბუსებთან შესაბამისობის) შემოწმება; ანკეტირებული გამოკითხვა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების განხორციელების ხარის-ხის უზრუნველსაყოფად; სტუდენტების, კურსამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებების შესწავლა; სწავლების ხარისხის გაზრდის და პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდაციების და ინსტრუქციების შემუშავება; პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დარგის სპეციალისტების მოსაზრებების და რეკომენდაციების შესწავლა და არსებული პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.

სტუ-ს პერსონალისათვის განათლების სფეროში ბოლონიის პროცესთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედ რეგულაციებთან და სტანდარტებთან და სხვა აქტუალურ საკითხებზე საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფაკულტეტზე მოქმედი პროექტის ფარგლებში ტრენინგების ჩატარება.

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე შექმნილია უნივერსიტეტის საფაკულტეტო კომისია, რომელიც დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე. საფაკულტეტო კომისია დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის წარმომადგენლებისაგან. მათი მოვალეობაა სწავლა–სწავლების ხარისხის შეფასება, როლის შედეგად სამსახურის ხელმძღვანელი წერს დასკვნას და წარუდგენს სტუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის და ასევე, შეფასების შედეგებს აცნობს ფაკულტეტის საბჭოს.

რეაკრედიტაციის ფარგლებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი კომისიის მიერ ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეფასებული იქნა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბანკო პროცესების მართვა“ განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ ჩატარებული მეცადინეობები და შემუშავებულ იქნა დასკვნები. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები სასწავლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც წარედგინა საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ”სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი http://gtu.ge/quality/Files/Pdf/1125%20damtk%20cesi.pdf;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ოქმები;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2011 წლის 1 აპრილის № 25 ბრძანება „ფაკულტეტებზე კომისიების შექმნისა და მათი რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება http://gtu.ge/quality/Files/Pdf/brdz%20kom.pdf;
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები;
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- კოლეგიალური შეფასების დასკვნა და დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (როგორც შიდა ასევე გარე);

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

გოჩა თუთბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თეა კასრაძე

დავით ქარცივაძე

ნიკა კიკნაძე